

პრესრელიზი



დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

გიორგი კოპაღიშვილი

ბიზნესთან, მთავრობასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორი

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო

535-298989 | gpaleishvili@mcageorgia.ge

შიდა ქართლში კონკურსში გამარჯვებული სკოლა დაჯილდოვდა

18 ივლისს, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი მაგდა მალრაძე გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ფხვენისის საჯარო სკოლას ესტუმრა და ფონდის მიერ ორგანიზებული კონკურსის #მოვუაროთსკოლას ფარგლებში გამარჯვებულ სკოლას სპეციალური პრიზი - სმარტ ბორდი გადასცა. კონკურსი #მოვუაროთსკოლას სასწავლო წლის დასაწყისში დაიწყო და მასში ფონდის მიერ რეაბილიტირებულ საჯარო სკოლებს შეეძლო მონაწილეობის მიღება. წელს უკვე გამოვლინდა ორი გამარჯვებული სკოლა: ქუთაისის N17 საჯარო სკოლა და ფხვენისის საჯარო სკოლა.

„დღეს ვეწვიეთ სოფელი ფხვენისის ჩვენი ფონდის მიერ რეაბილიტირებულ საჯარო სკოლას და სპეციალური სასკოლო აღჭურვილობა გადავეცით. გვჯერა, ახალი სასკოლო ტექნიკა კიდევ უფრო გააძლიერებს და გააფართოებს იმ ინვესტიციას, რომელიც ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა ჩადო საჯარო სკოლების რეაბილიტაციაში. ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის ფარგლებში ჩვენმა ფონდმა 91 საჯარო სკოლას ჩაუტარა სრული რეაბილიტაცია საქართველოს რეგიონებში. ფხვენისის საჯარო სკოლა ერთ-ერთი პირველია, რომლის სრული რეაბილიტაციაც სამი წლის წინ განხორციელდა. კონკურსის შედეგებმაც ცხადყო, რომ დღეს ფხვენისის საჯარო სკოლა ერთ-ერთი წარმატებულია და იმსახურებდა კონკურსში საპრიზო ადგილს. მსურს მადლობა გადავუხადო სკოლის მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და რაც მთავარია დირექციას ასეთი მონდომება“ - განაცხადა მაგდა მალრაძემ.

აღნიშნული კონკურსის ფარგლებში ფხვენისის საჯარო სკოლის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი და დანერგილი მოვლა-პატრონობის მოდელი ერთ-ერთი გამორჩეულია და სრულად პასუხობს ფონდის მიერ შემუშავებული მოვლა-პატრონობის რეკომენდაციებს.

ინოვაციური კამპანია #მოვუაროთსკოლას მეორე წელია რაც იმართება და მისი მიზანია, საჯარო სკოლების მიერ შემუშავებული მოვლა-პატრონობის პოლიტიკის წახალისება. პროექტი ხელს უწყობს მოსწავლეების, მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრაციის და ადგილობრივი თემის ცნობიერების ამაღლებას და სკოლის მოვლის საკითხში პასუხისმგებლობის გაზიარებას.



#მოვუაროთსკოლას ხორციელდება ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ინიციატივით და ემსახურება მსოფლიოში აპრობირებული მიდგომის, მოსწავლეების, პერსონალისა და თემის მიერ საკუთარ სკოლაზე ზრუნვის, დანერგვას საქართველოში. კამპანიის მიზანია სკოლაზე ზრუნვის, მისი დასუფთავების, მოწესრიგების და მოვლის პასუხისმგებლობის გაზიარება და ამ მიმართულებით, საქართველოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გავრცობა-პოპულარიზაცია.

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე კომპაქტის შესახებ: 2013 წელს აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასა და საქართველოს მთავრობას შორის ხელი მოეწერა მეორე, 140 მილიონი აშშ დოლარის გრანტს (კომპაქტს), რომლის მიზანია საქართველოში სიღარიბის დაძლევა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა ზოგადი, ტექნიკური, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების გზით. კომპაქტი ძალაში შევიდა 2014 წლის 1 ივლისს და ხორციელდება ხუთი წლის განმავლობაში ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მიერ.